ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N180

(ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტი)

ქ. ბათუმი 04 ოქტომბერი, 2019 წელი

ერთის მხრივ, **სსიპ „აჭარის მუზეუმი"** (შემდგომში „შემსყიდველი"), წარმოდგენილი დირექტორის – სულხან ოქროპირიძის სახით და მეორეს მხრივ, **ი.მ. ნატალია ბერიძე** (შემდგომში „მიმწოდებელი"), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, საქართველოს მთავრობის 2012 წლის 24 იანვრის N99 განკარგულების და სსიპ აჭარის მუზეუმის დირექტორის მოადგილის სოსო სტურუას 2019 წლის 04 ოქტომბრის N1333054 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ „ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება მასზე თანდართული ყველა დოკუმენტითა და დამატებებით, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ;
1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" – ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ;
1.3. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
1.4. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების გაწევას მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;
1.5. "დღე", "კვირა", "თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე;
1.6. „მომსახურება" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1ხელშეკრულების საგანია სსიპ - აჭარის მუზეუმში 2019 წლის 5-6 ოქტომბერს დაგეგმილი ღონისძიებისთვის 2 ერთეული (არანაკლებ 15 ადგილიანი) მიკროავტობუსით მომსახურება ქალაქ ბათუმის ტერიტორიაზე, ღონისძიებაში მონაწილე პირთა ტრასპორტირების მომსახურების შეძენა, წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით (**CPV60100000 - საავტომობილო ტრანსპორტის მომსახურებები**).

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულებაა **470,00 (ოთხას სამოცდაათი)** ლარი.
3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

4. მომსახურების გაწევის ვადა

4.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელმა მომსახურება უნდა გასწიოს 2019 წლის 5-6 ოქტომბერს.

5. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

5.1. მომსახურების მიღება-ჩაბარებას ახორციელებენ სათანადოდ უფლებამოსილი პირები.
5.2. მომსახურების მიღება-ჩაბარება ხორციელდება გაწეული მომსახურების ღირებულების მითითებით შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

6. ანგარიშსწორების ფორმა, წესი და ვადები

6.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რეკვიზიტებზე, ეროვნულ ვალუტაში.

6.2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება, ხელშეკრულების მე-5 მუხლით განსაზღვრული წესით შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.
6.3. მიმწოდებელი ვალდებულია ანგარიშსწორების დოკუმენტზე მიუთითოს ყველა საჭირო რეკვიზიტი. წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს დოკუმენტი.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1. შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი.
7.2. შემსყიდველი ორგანიზაციიდან ხელსეკრულების კონტროლს ახორციელებს აჭარის მუზეუმის დირექტორის მოადგილე სოსო სტურუა.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
8.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9. ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:
ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია გაწიოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება;
ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება;
გ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
9.2. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. სადაო საკითხების გადაწყვეტა

10.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
10.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მიმართოს სასამართლოს.

11. სხვა პირობები

11.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე. მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
11.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.
11.3. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ელექტრონული წერილის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე. შეტყობინება
ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

11.4. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის შესრულდება ქართულ ენაზე.
11.5. ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან და ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელთან.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 25 სექტემბრის ჩათვლით.

13. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
სსიპ „აჭარის მუზეუმი"	**ი.მ. ნატალია ბერიძე**
მისამართი: ქ. ბათუმი, ახვლედიანის ქ. 4	პ/ნ 61001002331
საიდენტიფიკაციო კოდი 245 769 271	საბ. ანგ: ს.ს. „საქართველოს ბანკი"
საბიუჯეტო სახსრები	საბანკო კოდი: BAGAGE22
დირექტორი სულხან ოქროპირიძე	ა/ა: GE22BG0000000731849700
	ი.მ. ნატალია ბერიძე
.....	.....

ფასების ცხრილი

N	საქონლის დასახელება	ზომის ერთეული	რაოდენობა	Cpv კოდი	ერთეულის ფასი, ლარი	თანხა, ლარი
1	საავტომობილო ტრანსპორტის მომსახურებები, კერძოდ აჭარის მუზეუმში 2019 წლის 5-6 ოქტომბერს დაგეგმილი ღონისძიებისთვის 2 ერთეული (არანაკლებ 15 ადგილიანი) მიკროავტობუსით მომსახურება ქალაქ ბათუმის ტერიტორიაზე	ცალი	1	60100000	470	470.00
ჯამი: 470 (ოთხას სამოცდაათი) ლარი და 00 თეთრი						

მიმწოდებელი

ი.მ. ნატალია ბერიძე
ნატალია ბერიძე

შემსყიდველი

სსიპ „აჭარის მუზეუმის“ დირექტორი
სულხან ოქროპირიძე

ინფორმაცია

ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქ. ბათუმი 04 ოქტომბერი, 2019 წელი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–8 მუხლის თანახმად, ჩვენ, ქვემოთ ჩამოთვლილი თითოეული პირი ხელის მოწერით ვადასტურებთ, რომ სსიპ „აჭარის მუზეუმის“ მიერ 2019 წლის 04 ოქტომბერს ი.მ. ნატალია ბერიძესთან (**პ.ნ. 61001002331**) გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ **N180** ხელშეკრულებით გათვალისწინებული **საავტომობილო ტრანსპორტის მომსახურებების** შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში ჩვენი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

დირექტორი /ს. ოქროპირიძე/

დირექტორის მოადგილე /ს. სტურუა/